

კონკურსები და პროგრამები

გამოცხადდა 7 კონკურსი

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი

კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერის გზით ხელი შეუწყოს მათი სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას, თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებასა და აკადემიურ საქმიანობაში ჩართულობას, აგრეთვე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერებასა და გაუმჯობესებას.

[იხ. სრულად>>>](#)

მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, გაძლიერდეს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და თანამშრომლობას, მეცნიერების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ახალი კადრების მეცნიერებაში მოზიდვასა და ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლებას. აგრეთვე, სამეცნიერო შრომების საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდვის ხელშეწყობა.

[იხ. სრულად>>>](#)

საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და ფონდის ერთობლივი საგრანტო კონკურსი - „საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტი“ (PICS)

კონკურსის მიზანია მეცნიერების სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება-გაფართოება და საქართველოს მეცნიერთა კვლევების ღონის ამაღლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივ კვლევებში აქტიური ჩართვა და ევროპულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა.

[იხ. სრულად>>>](#)




„აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სამეცნიერო - კვლევითი საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია სახელმწიფოს წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევის – აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისა და მის გავრცელებასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო სირთულეების გადაჭრა სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების გზით; აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ინოვაციური სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა; ახალი ცოდნის, მეთოდების და ინოვაციური ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ძიება; პრობლემის მოგვარების ახალი მოდელების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა-ანალიზი საერთაშორისო სივრცეში არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. [იხ. სრულად>>>](#)

კონკურსი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისთვის

საქართველოს და საერთაშორისო მკვლევართა წახალისება მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ჩართულობის მიზნით, აგრეთვე განუვლი განსაკუთრებული მიღწევების დატესტვისათვის, საქართველოს მეცნიერებისა და საქართველოს მესხებ კვლევების წახალისებისა და პოპულარიზაციისათვის.

[იხ. სრულად>>>](#)





დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი

კონკურსის მიზანია ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადება. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება, სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა, დოქტორანტებისა და უნივერსიტეტების უცხოეთში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ამ გზით საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება. წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარების გამოვლენა და მათი საღმრთლო კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განხორციელების ხელშეწყობა, ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო კვლევით პროექტებში ინტეგრირება და საქართველოში სამეცნიერო კვლევის ხარისხის ზრდა. ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა. [იხ. სრულად>>>](#)



ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

კონკურსის მიზანია ახალი ცოდნის შექმნა, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს. კონკურსი ხელს უწყობს კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნას, გამორჩეული ხარისხის კვლევების განვითარებას, კვლევების მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაციას, კვლევის პროცესის ინტეგრაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესში და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის ზრდას მათი ჩართვით კვლევაში. [იხ. სრულად>>>](#)

მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის ზრდას მათი ჩართვით კვლევაში. [იხ. სრულად>>>](#)

გამოვლინდა 1 კონკურსის შედეგი



2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“

გამოვლინდა 2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებული პროექტები. [იხ. სრულად>>>](#)

საერთაშორისო თანამშრომლობა



ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა

23 აპრილს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩოს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოში ფრანგული ინსტიტუტის თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. [იხ. სრულად>>>](#)



შეხვედრა გაიმართა ბულგარეთის ანტარქტიდის შემსწავლელი ინსტიტუტის წარმომადგენლებთან

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ბულგარეთის ერთ-ერთი კვლევითი ცენტრის - Bulgarian Antarctic Institute წარმომადგენლებს შეხვდა. [იხ. სრულად>>>](#)

მარი სკლადოვსკა კიურის აქტივობის (MSCA) ეროვნული საკონტაქტო პირების შეხვედრა



19-20 აპრილს ქ. ბრუსელში გაიმართა მარი სკლადოვსკა კიურის აქტივობის (MSCA) ეროვნული საკონტაქტო პირების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე ნინო გაჩეჩილაძე. შეხვედრაზე განიხილეს MSCA ფარგლებში მობილობის სქემები, ინტერესთა კონფლიქტის თემატიკა, საგრანტო კონკურსების გაუარყოფის პერსპექტივები, თანადაფინანსების სქემები, MSCA-ს სხვადასხვა კონკურსების წარმატების ინდექსების ანალიზი და წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზები, MSCA-ს საერთაშორისო ინტეგრაციის საკითხები და გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები.

ევროპული კვლევების საბჭოს ეროვნული საკონტაქტო პირების შეხვედრა

19-20 ივნისს ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსი მარიამ ქეპურია დაესწრო ევროპული კვლევების საბჭოს ეროვნული საკონტაქტო პირების (ERC NCP) შეხვედრას, რომელსაც ესწრებოდნენ ეროვნული საკონტაქტო პირები ევროპის და პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-თან ასოცირებული ქვეყნებიდან. შეხვედრა დაეთმო ERC-ის დასრულებული კონკურსების შესახებ მონაცემებისა და სტატისტიკის გაანალიზებას, მომდევნო სამუშაო პროგრამაში ყურადღებას საკითხებს და 2019 წლის საკონკურსო კალენდარს.

სუამი-ის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მეცნიერებისა და ინოვაციების შესახებ

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამი-ის ფარგლებში შექმნილია სამუშაო ჯგუფი განათლებისა და მეცნიერების საკითხებზე, რომლის კოორდინატორი ქვეყანა 2018 წელს არის საქართველო. მიმდინარე წლის 31 მაისს და 1 ივნისს აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ჩატარდა პირველი შეხვედრა მეცნიერებისა და ინოვაციების შესახებ, რომელსაც ესწრებოდა ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსი მარიამ ქეპურია.

ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“-ის სტრატეგიული კონფიგურაციის კომიტეტის რიგით 24-ე სამუშაო შეხვედრა

19 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით, ბრიუსელში ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციების დირექტორატის ორგანიზებით გაიმართა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“-ის სტრატეგიული კონფიგურაციის კომიტეტის რიგით 24-ე სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანს წარმოადგენდა არსებული სიტუაციის შეფასება, მიღწეული შედეგების ანალიზი და შეფასება, სამომავლო პერსპექტივების განხილვა და მე-9 ჩარჩო პროგრამის პრიორიტეტების გაცხობა. ფონდის გენერალური დირექტორი, მანანა მიქაბერიძე, მინველო იყო, როგორც ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“-ის სტრატეგიული კონფიგურაციის კომიტეტის საქართველოს დელეგატი. სამუშაო შეხვედრის განმავლობაში ფონდის გენერალურმა დირექტორმა კომიტეტს მიანოდა ინფორმაცია საქართველოში „ჰორიზონტი 2020“-ში მეცნიერთა მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობაზე აქტივობებისა და პროგრამების შესახებ. შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს: ევროპული ინოვაციების ჩარჩოს (ERC) საპილოტე პროგრამა; ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“-ის კონკურსებში მონაწილეობის გაფართოება; მოხდა მიმდინარე პროგრამებში არსებული პრობლემების, გამოწვევებისა და სამომავლო განვითარების პერსპექტივების იდენტიფიცირება და სხვ.

სამუშაო შეხვედრა პროექტის Eap Plus ფარგლებში

20-21 მაისს, ქ. კიევი პროექტის Eap Plus ფარგლებში, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილული ვახლდათ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და ხედვა ქვეყანაში ტექნოლოგიური პლატფორმისა და კლასტერის ფორმირებაზე. აღნიშნულ შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად ოფიციალური მიწვევით იმყოფებოდა ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, ნინო გაჩეჩილაძე.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო პოლონეთის, ესპანეთის, საფრანგეთის, რუმინეთის გამოცდილება ტექნოლოგიური პლატფორმის ფორმირების, აკადემიურ სექტორსა და ინდუსტრიას შორის კავშირის გაღრმავების საკითხზე. ასევე, საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, უკრაინის და ბელარუსის გამოცდილება და ხედვა ტექნოლოგიური ჰაბის ფორმირებაზე.

ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“-ის სტრატეგიული კონფიგურაციის კომიტეტის რიგით 25-ე სამუშაო შეხვედრა

6 ივნისიდან 8 ივნისის ჩათვლით, ქ. ბრიუსელში ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციების დირექტორატის ორგანიზებით გაიმართა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“-ის სტრატეგიული კონფიგურაციის კომიტეტის რიგით 25-ე სამუშაო შეხვედრა.

2018 წლის იანვრიდან, პროგრამული კომიტეტების წევრების (საქართველოს დელეგაციების) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამკვიდრების შემდეგ, ფონდი აქტიურად არის წარმოდგენილი ჰორიზონტი 2020-ის სხვადასხვა პროგრამულ კომიტეტში. გენერალურმა დირექტორმა, მანანა მიქაბერიძემ გაიმართა საქმიანი შეხვედრები, აწარმოა მოლაპარაკებები თანამშრომლობასთან/თანამშრომლობის ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღო სესიების განმავლობაში მიმდინარე დისკუსიებში.

პირველად იყო წარმოდგენილი მე-9 ჩარჩო პროგრამის - 'Horizon Europe' ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები და მნიშვნელოვანი აქცენტები.

ჰორიზონტი 2020-ის პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოსთვის შემუშავებული საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია



14 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა „ჰორიზონტი 2020“-ის პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოსთვის შემუშავებული რეკომენდაციებისა და საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია.

პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტი - Policy Support Facility გულისხმობს მაღალი რანგის, დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტების მიერ რეკომენდაციების შემუშავებას საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის გაძლიერების მიზნით. ექსპერტთა ვიზიტი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს მიერ ევროკომისიისადმი მიმართვის საფუძველზე 2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის მაისის ჩათვლით.

[იხ. სრულად>>>](#)



ქიმიური აბსტრაქტების (CAS) სერვისების სემინარი

24 აპრილს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტისა და ფონდის მიერ ორგანიზებული სემინარი, სადაც დამსწრე საზოგადოებას გააცნეს CAS და SciFinder-ის აპლიკაციების მნიშვნელობა ქართული მეცნიერებისათვის.

[იხ. სრულად>>>](#)



სამუშაო შეხვედრა თემაზე „ცხოველთა გამოყენებისა და მოვლის ინსტიტუციური კომიტეტების სისტემების განვითარება საქართველოში: ფაქტები და გამოწვევები“

26 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით ქ. ბორჯომში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა თემაზე „ცხოველთა გამოყენებისა და მოვლის ინსტიტუციური კომიტეტების სისტემების განვითარება საქართველოში: ფაქტები და გამოწვევები“, სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა მანანა მიქაბერიძემ, გენერალური დირექტორის მოადგილე ნინო გაჩეჩილაძემ და სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ქეთევან გაბიგაშვილმა.




საქართველოს სამინისტროების წარმომადგენლებთან შეხვედრა კვლევების ხელშეწყობისა და კომერციალიზაციის მიზნით

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 11 ივნისს გაიმართა სამუშაო შეხვედრა სამინისტროების, სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობით სამეცნიერო, სამრეწველო და კერძო სექტორს შორის კავშირების გაძლიერების თაობაზე. შეხვედრა მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავებას ისეთ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება პრობლემაზე ორიენტირებული კვლევების ხელშეწყობას, გამოყენებითი კვლევების განვითარებას, სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციას, კერძო სექტორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან კოლაბორაციის მხარდაჭერას. [იხ. სრულად>>>](#)


ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს შორის დაიდო ხელშეკრულება „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო კონკურსი გამოცხადდა 2018 წლის ივნისში.

ფონდის ბიუჯეტის შესრულება



ინფორმაცია მეორე კვარტლის ხარჯის შესახებ



ფონდსა და უნივერსიტეტებში გაიმართა მიმდინარე კონკურსებისა და პროგრამების 18 საკონსულტაციო შეხვედრა



ფონდის წარმომადგენლები დაესწრნენ გრანტის მფლობელთა 32 შემაჯამებელ პრეზენტაციას



გამოქვეყნდა 3 კონკურსის შუალედური შედეგი



2018 წლის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“

[იხ. სრულად>>>](#)



2018 წლის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის“ საგრანტო კონკურსი

[იხ. სრულად>>>](#)



ფონდისა და თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) 2017 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

[იხ. სრულად>>>](#)